GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 113
თარიღი: 19 03 2015 წ.

GRASS FACTCHECK

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში თბილისსა და ბათუმში ტექნოლოგიური უნიერსიტეტის გახსნა იგეგმებოდა. კონკურისის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო კომისიის მიერ ორი განაცხადი გამოვლინდა, რომლებმაც კონკურსის მეორე ეტაპის მოთხოვნები დააკმაყოფილა. ესენი იყო: ა) კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისურის უნივერსიტეტი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ლოს–ანჟელესის კამპუსი და საქართველოს აგრარული და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტები; ბ) ობურნის უნივერსიტეტი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- რატომ იქნა მიღებული აღნიშნული კონკურსის შედეგების გაუქმების გადაწყვეტილება?
- რატომ გამოცხადდა ახალი კონკურსი?
- ახალ კონკურსში მონაწილეობის საშუალება კერძო უნივერსიტეტებს არ მიეცათ. რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება?
- რატომ დაიწუნა საქართველოს მთავრობამ ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსების იდეა? ჩატარდა თუ არა რაიმე ტიპის კვლევა, ან არსებობდა თუ არა შესაბამისი საერთაშორისო რეკომენდაციები (ასეთების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია)?
- საქართველოს მთავრობის ოფიციალური პოზიციის თანახმად, ეს იდეა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაწუნებულ იქნა და ამის შესახებ 2011 წლის ნოემბერში კომპაქტის მოსამზადებელი მოლაპარაკებების პერიოდში ოფიციალურად ეცნობა საქართველოს მთავრობას. გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.
- თუკი 2011 წელს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ აღნიშნული იდეა დაწუნებულ იქნა, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2012 წლის ბოლოსათვის მოლაპარაკებები და კონკურსის პირველი ეტაპი უკვე დასრულებული იყო და მეორე ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული უნივერსიტეტების გამოვლენა იყო დარჩენილი?
- გთხოვთ, მოგვაწოდოთ ყველა საჯარო დოკუმენტი, რომელიც ათასწლეულის განვითარების კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის 2011–2012 წლებში მოლაპარაკებების დროს იქნა მიღებული და მხარეებს შორის დაგზავნილი.
- გთხოვთ, მოგვაწოდოთ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არსებობის იდეასთან დაკავშრებით მიღებული საბოლოო დასკვნა.

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ვიცე-დირექტორი

მისამართი:
თბილისი, მიცკევიჩის ქ. #27
საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge
nataliavakhtangashvili@gmail.com